მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის
ოქმი №8

ქ.მარტვილი **25 ივლისი, 2022 წელი**

სხდომა დაიწყო 12 ⁰⁰ საათზე, დამთავრდა 13⁰⁰ საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ: ლევან სურმავა, ალექსანდრე გრიგალავა, კობა დარჯანია, კახაბერ ჯგერენაია, შალვა ბახია, ელიზბარ ახვლედიანი, ლაშა ქობალია, ნათია ბჟალავა და ვლადიმერ დანელია.
სხდომას ასევე ესწრებოდნენ საკრებულოს აპარატის თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული პირები.

სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარე ლევან სურმავა.

დღის წესრიგი:

1 ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი–ლევენ სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/

2.სხვადასხვა

პირველი საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა ბიუროს 9 წევრმა.

მოისმინეს1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება, ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე არსებული საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გამოყოფილი თანხების ნაშთი შეადგენს 13320 ლარს, მათ შორის 2019 წლის 13 იანვრის N13 განკარგულების ნაშთი შეადგენს 3320 ლარს, ხოლო 2021 წლის 4 თებერვლის N147 განკარგულების ნაშთი 10000 ლარს. არსებული ნაშთის ასახვის მიზნით შესატანია ცვლილება 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში,

კერძოდ უნდა გაიზარდოს მუნიციპალიტეტის ბუჯეტის ნაშთები 13320 ლარით, შესაბამისად უნდა გაიზარდოს მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის გადასახდელები, კერძოდ: საჯარო სკოლების დაფინანსების არაფინანსური აქტივების ზრდის ხარჯები 13320 ლარით მარტვილის მუნიციპალიტეტის სერგიეთის ადმინისტრაციულ ერთეულში საჯარო სკოლის დამხმარე შენობის ოთახისა და ვედიდკარის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ მუხურჩის საჯარო სკოლის აივნის რეკონსტრუქციის სამუშაოების დასაფინანსებლად. აქვე საკრებულოს წევრებს გააცნო მიმდინარე წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით განხორციელებული ცვლილებები, რომელიც ასახულია წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტშისხდომის თავმჯდომარემ ლევან სურმავამ ბიუროს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითთან დაკავშირებით.

ზურაბ მელიავამ აღნიშნა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დამატებითი შეკითხვები ვისაც გაუჩნდება შეუძლიათ დასვან საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხის საკრებულოს დღის წესრიგის პროექტის შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 9, წინააღმდეგი 0.

ბიურომ გადაწყვიტა: „მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს დღის წესრიგის პროექტში.

მეორე საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა ბიუროს 9 წევრმა

მოისმინეს 2. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას ინიციატივა ბანძის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ ერთ-ერთ ქუჩაზე ცნობილი განმანათლებლისა და სასულიერო პირის, გამოჩენილი ეროვნული მოღვაწის, სამეგრელოში 15-მდე სკოლის დამაარსებლის, დეკანოზ ანტონ იოანეს ძე კეკელიას სახელის მინიჭების თაობაზე,

მომხსენებელმა ისაუბრა დეკანოზ ანტონ იოანეს ძე კეკელიას ღვაწლზე და ბიუროს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ ინიციატივასთან დაკავშირებით.

ბიუროს წევრებმა მოიწონეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას ინიციატივა ბანძის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ ერთერთ ქუჩაზე ცნობილი განმანათლებლისა და სასულიერო პირის, გამოჩენილი ეროვნული მოღვაწის, სამეგრელოში 15-მდე სკოლის დამაარსებლის, დეკანოზ ანტონ იოანეს ძე კეკელიას სახელის მინიჭების თაობაზე და ბიურომ გადაწყვიტა საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივა გადაეგზავნოს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიას დასკვნის წარმოსადგენად.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე: ლევან სურმავა